საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი კ. ერისთავის სახელობისა, სააქციო საზოგადოება, ქირურგიის ერთ-ერთი მოთავე დაწესებულება, რომელიც შეიქმნა 1946 როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ახლანდ. სტატუსი მიიღო 2000). მისი დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო გ. მუხაძე. სხვადასხვა დროს ინ-ტის დირექტორები იყვნენ: გ. მუხაძე, კ. ერისთავი, გ. იოსელიანი, ვ. ფიფია, გ. გოკიელი, ბ. მოსიძე და სხვ. თავდაპირველად ინ-ტი მუშაობდა ქირურგ. პათოლ. საკითხებზე, ძირითადად კი – საჭმლის მომნელებელი სისტემის ქირურგ. პრობლემებზე. არსებობის პერიოდში ქირურგ. ეროვნ. ცენტრი ჩამოყალიბდა როგორც მრავალპროფილური, სპეციალიზებული სამეცნ.-კვლ. და კლინ. დაწესებულება – ზოგადქირურგიული, ანგიოლოგიის და რეკონსტრუქციული ქირურგ. კლინიკა შესაბამისი განყოფილებებით, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და ჰემოდიალიზის განყოფილება, კარდიოქირურგიული კლინიკა „ღია გული", ფილტვის ქირურგიის, ნეიროქირურგიის, ანესთეზიოლოგია-რეანიმაციისა და დიაგნოსტიკის განყოფილებებით. ინ-ტში ექსპერიმენტულად მუშავდებოდა ქირურგ. აქტუალური საკითხები. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული ხელოვნური და დამხმარე სისხლის მიმოქცევის, ხელოვნური გულის ბიოტექნიკური სისტემის შემუშავებაში, შექმნასა და ექსპერ. აპრობაციაში; თავის ტვინისა და გულის იზოლირებული პერფუზიის, კორონარული დაავადებების ქირურგ. მკურნალობის, გასტროდუოდენური სისხლდენის მკურნალობის, გაუტკივარების, თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახ. მეთოდების დამუშავებაში; აგრეთვე, ღვიძლის მწვავე უკმარისობის მკურნალობის, მიოკარდიუმის რევასკულარიზაციის მეთოდების, გულ-ფილტვის პრეპარატის მოდიფიცირებული ტრანსპლანტაციის საკითხებში. დეტალურად იქნა შესწავლილი პოსტქოლეცისტექტომიური სინდრომის კლინიკა და მკურნალობა; იქვე პირველად საქართველოში, წარმატებით

განხორციელდა თირკმლის ტრანსპლანტაცია და სხვა. 2012-იდან ცენტრში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები. კერძოდ, მნიშვნელოვნად დაიხვეწა სამედ. მომსახურების ხარისხი; პაციენტის ოპერატიული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ერთიანი კომპიუტერული ელექტრონული ბაზა; გაუმჯობესდა შიდა და გარე ინფრასტრუქტურა, გაფართოვდა უკვე არსებული რეანიმაციული, ინტენს. თერაპიისა და პოსტოპერაციული განყ-ბა. ჩამოყალიბდა მრავალი ახ. სამსახური: ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური, ქირურგ. გინეკოლოგია, მ. შ. ონკოგინეკოლოგია, გულმკერდის ქირურგია, ტოქსიკოლოგიური, თერაპიული, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული, ალერგოლოგიური, ყბა-სახის, პროქტოლოგიური, ნევროლოგიური, უროლოგიური და სხვ. დაინერგა უახლესი სადიაგნოსტიკო-კვლევითი მეთოდები. დამონტაჟდა თანამედროვე სამედ. აპარატურა (IV თაობის კომპიუტერული ტომოგრაფი), შეიქმნა გადაუდებელი მედ. სამსახური. კლინიკა არის თბილ. სახელმწ. სამედიცინო უნ-ტის, თბილ. დავით აღმაშენებლის სახ. უნ-ტის, თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნ-ტის სასწავლო ბაზა.